



მე-3 განყოფილება
ფინანსური ანგარიშგების
წარდგენა

განსახილველი საკითხები

- სამართლიანი წარდგენა;
- შესაბამისობა მსს ფასს-თან;
- ფუნქციონირებადი საწარმო;
- წარდგენის უცვლელობა;
- შესადარისი ინფორმაცია;
- არსებობა და აგრეგირება;
- ფინანსური ანგარიშგების სრული პაკეტი;
- ფინანსური ანგარიშგების იდენტიფიკაცია;
- ინფორმაციის წარდგენა, რომელიც არ მოითხოვება წინამდებარე სტანდარტით;
- სრულ ფასს-თან შედარება.

- სამართლიანი წარდგენა არის სამეურნეო ოპერაციების, სხვა მოვლენებისა და გარემოებების კეთილსინდისიერად ასახვა, აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების განმარტებებისა და აღიარების კრიტერიუმების შესაბამისად;
- მიიჩნევა რომ მსს ფასს-ის გამოყენებით (აუცილებლობის შემთხვევაში დამატებითი ინფორმაციის გამჟღავნებით) მიიღწევა საწარმოს ფინანსური მდგომარეობის, მისი საქმიანობის ფინანსური შედეგებისა და ფულადი სახსრების მოძრაობის სამართლიანი წარდგენა, იმ შემთხვევაში თუ ის არ არის საჭარო ანგარიშვალდებულების მქონე საწარმო.

შესაბამისობა მსს ფასს-თან

- საწარმომ, რომლის ფინანსური ანგარიშგება მსს ფასს -ის შესაბამისად არის წარდგენილი, განმარტებით შენიშვნებში **ნათლად და უპირობოდ** უნდა განაცხადოს, რომ ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მსს ფასს-ის შესაბამისად.
- თუ ფინანსური ანგარიშგება მომზადებული არ არის წინამდებარე სტანდარტის **ყველა მოთხოვნის მიხედვით**, ანგარიშგებაში მითითებული არ უნდა იყოს, რომ იგი წარდგენილია მსს ფასს-ის შესაბამისად.

ფუნქციონირებადი საწარმო

- საწარმო მიიჩნევა ფუნქციონირებად საწარმოდ, თუ მის ხელმძღვანელობას განზრახული არ აქვს:
 - ✓ საწარმოს ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა; ან
 - ✓ იძულებული არ არის, რომ ასე მოიქცეს
- ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში ხელმძღვანელობამ უნდა შეაფასოს, აქვს თუ არა საწარმოს საქმიანობის გაგრძელების უნარი, როგორც ფუნქციონირებად საწარმოს.

- საწარმომ განმარტებით შენიშვნებში უნდა ახსნას ის არსებითი განუსაზღვრელობები, რაც საფუძვლიან ეჭვს ბადებს საწარმოს უნარზე, საქმიანობა განაგრძოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ.
- თუ ფინანსური ანგარიშგება არ მომზადებულა ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების საფუძველზე, უნდა გამჟღავნდეს:
 - ✓ ეს ფაქტი;
 - ✓ მომზადების საფუძველი;
 - ✓ აიხსნას მიზეზი, რის გამოც მოცემული საწარმო არ მიიჩნევა ფუნქციონირებად საწარმოდ.

- ერთი და იმავე წარდგენის ფორმა და კლასიფიკაცია უნდა შენარჩუნდეს ყოველ პერიოდში გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც:
 - ✓ საწარმოს საქმიანობის/ოპერაციების შინაარსი მნიშვნელოვნად შეიცვალა, ან, როდესაც ფინანსური ანგარიშგების მიმოხილვიდან ჩანს, რომ სხვაგვარი წარდგენა, ან კლასიფიკაცია უფრო მეტად გამართლებულია (ე.ი უფრო საიმედო და შესაბამისია), ან
 - ✓ მსს ფასს მოითხოვს წარდგენის ფორმის შეცვლას
- თუ იცვლება, უნდა გადაიანგარიშოს შესადარისი მონაცემები და გაამჟღავნოს (შინაარსი, თანხა და მიზეზი).

- უნდა გაამჟღავნოს:
 - ✓ წინა პერიოდის შესადარისი თანხები
 - ✓ შესადარისი ინფორმაცია, მიმდინარე პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი შინაარსობრივი მონაცემებისათვის როცა ეს საჭიროა ფინანსური ანგარიშგების გასაგებად.

- არსებითია თუ მისი გამოტოვება ან დამახინჯება ინდივიდუალურად, ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს მომხმარებელზე:
 - არსებითობა დამოკიდებულია გამოტოვებული ან არასწორად წარმოდგენილი მუხლის სიდიდესა და ხასიათზე
 - განხილვა ხდება კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით
- განცალკევებით აისახება:
 - მსგავსი მუხლების ყველა არსებითი ჯგუფი
 - განსხვავებული შინაარსის, ან ფუნქციის მქონე არსებითი მუხლები.
- არსებითობის ბარიერი უფრო დაბალია განმარტებითი შენიშვნებისთვის.

ფინანსური ანგარიშგების სრული პაკეტი

29

- ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება (განყოფილება 4)
- ერთი სრული შემოსავლის ანგარიშგება ან ორი ანგარიშგება— მოგების ან ზარალის ანგარიშგება და სრული შემოსავლის ანგარიშგება (განყოფილება 5)
- საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება (განყოფილება 6)
- ფულადი ნაკადების ანგარიშგება (განყოფილება 7)
- ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (განყოფილება 8)
- თითოეული ანგარიშგება წარდგენილი უნდა იქნეს თანაბარი თვალსაჩინოებით

ფინანსური ანგარიშგების იდენტიფიკაცია

თვალსაჩინოდ უნდა გამოყოს შემდეგი ინფორმაცია:

- (ა) ანგარიშვალდებული საწარმოს დასახელება და მის სახელწოდებაში მომხდარი ნებისმიერი ცვლილება;
- (ბ) ფინანსური ანგარიშგება ერთ საწარმოს ეხება, თუ საწარმოთა ჯგუფს;
- (გ) საანგარიშგებო პერიოდის დამთავრების თარიღი და ფინანსური ანგარიშგებით მოცული პერიოდი;
- (დ) წარსადგენი ვალუტა; და
- (ე) ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი თანხების დამრგვალების ხარისხი, თუკი რიცხვები დამრგვალებულია.

ფინანსური ანგარიშგების იდენტიფიკაცია

საწარმომ განმარტებით შენიშვნებში უნდა გაამჟღავნოს შემდეგი ინფორმაცია:

- (ა) საწარმოს მუდმივი ადგილსამყოფელი, მისი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა, ქვეყანა, სადაც რეგისტრირებულია და იურიდიული მისამართი (ან მისი ფაქტობრივი საქმიანობის ძირითადი ადგილი, თუ იგი განსხვავდება იურიდიული მისამართისგან); და
- (ბ) საწარმოს ოპერაციების ხასიათისა და მისი საქმიანობის ძირითადი მიმართულებების აღწერა.

ინფორმაციის წარდგენა, რომელიც არ მოითხოვება წინამდებარე სტანდარტით

32

მსს ფასს-ით არ მოითხოვება შემდეგი ინფორმაციის წარდგენა:

- სეგმენტური ინფორმაცია;
- ერთ აქციაზე შემოსავალი;
- შუალედური ფინანსური ანგარიშება.

იმ შემთხვევაში, თუ საწარმო წარადგენს ამგვარ ინფორმაციას, მან უნდა აღწეროს ამ ინფორმაციის მომზადებისა და წარდგენის საფუძველი.

შედეგები სრულ ფასს-თან

- უფრო ადვილი ენით არის გადმოცემული, მოიცავს ნაკლებ მითითებებს აღრიცხვის პრინციპების გამოსაყენებლად.
- მოგებისა და ზარალის და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება
 - ✓ თუ პერიოდის საკუთარი კაპიტალის ცვლილებები, რომელსაც ფინანსური ანგარიშგება მოიცავს, განპირობებულია მხოლოდ მოგების ან ზარალის მიღებით, დივიდენდების გაცემით, წინა პერიოდების შეცდომების გასწორებითა და სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებით - მსს ფასს სტანდარტის მიხედვით შეუძლია წარადგინოს ერთიანი ანგარიშგება;
 - ✓ აღნიშნული არჩევანი არ არსებობს ფასს სტანდარტების სრულ ვერსიაში.
- ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება შესადარისი პერიოდის დასაწყისისთვის
 - ✓ მსს ფასს-ით არ მოითხოვება მისი წარდგენა;
 - ✓ სრული ფასს-ით სავალდებულოა გარკვეულ გარემოებებში.